შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“

კონკურსის საშუალებით ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე

ქ. ბათუმი

2011 წელი

სარჩევი

1	საკონკურსო განცხადება	3
2	ტექნიკური დავალება	6
3	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი	7
4	საპროექტო ტერიტორიის ესკიზი	11

საკონკურსო განცხადება

1. შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს;
2. კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N 21-ში მდებარე საზოგადოების კუთვნილი ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა ტექნიკური დავალების შესაბამისად;
3. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 3000 (სამი ათასი) ლარი დღგ-ს გათვალისიწნებით;
(შენიშვნა: კონკურსანტმა, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად შესყიდვის ღირებულება უნდა წარმოადგინოს დღგ-ს გარეშე);
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (**http:/procurement.gov.ge**);
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საინდეტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საინდეტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;
6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება, ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;
7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ან მათი გაცემის თარიღი არ შეესაბამება მოთხოვნილ თარიღს, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;
8. 8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;
9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ;
(შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული წართული თარგმანი);
11. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 17 იანვარს;
12. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 18 იანვარს 17^{00} საათზე;
13. საკონკურსო წინადადებების განხილვა მოხდება 2012 წლის 19 ინვარს 12^{00} საათზე საკონკურსო კომისიის მიერ;
14. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 18 იანვრის 17^{00} საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N 21, შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ადმინისტრაცია (პაკეტში არ უნდა მოთავსდეს მხოლოდ საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი)

15. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე;

16. ანგარიშსწორების წინასწარი (ავანსი) სახე არ გამოიყენება;

17. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;

18. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 3000 (სამი ათასი) ლარს არ განიხილება;

19. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით;

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი - 0,6
- შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა: კოეფიციენტი - 0,3
- გამოცდილება: კოეფიციენტი - 0,1

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა;

20. გამარჯებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 2012 წლის 30 იანვრის ჩათვლით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა;

21. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები და მოთხოვნები, ასეთების არსებობის შემთხვევაში;

22. წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა დაერთოს ელექტრონული ვერსია **archiCad**-ში ან **autoCad**-ში და **jpg** ფორმატში. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაცია **PDF** ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს;

23. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები;

24. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ შემსყიდველის ადმინისტრაციას: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N 21, საკონტაქტო პირი ნუგზარ პატარიძე, ტელ/ფაქსი (422) 24 1093, email: tradecenter2009@yahoo.com.

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტების აღწერა:
1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმეტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
1.2. ტერიტორია განლაგებულია ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N 21-ში და საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 4 370 $მ^2$-ს;

პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ტერიტორიაზე ბეტონის საფარის დაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რომელშიც მოცემული იქნება:

- ტერიტორიის მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა ჩასატარებელი სამუშაოებისა და საჭირო მასალების ჩვენებით;
- ტერიტორიაზე გამავალი სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოებისა და მასალების ჩამონათვალი;
- უნდა განსაზღვროს დასაგები ბეტონის სისქე და საჭირო მზა ბეტონის რაოდენობა;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენაციაში ცალკ-ცალკე უნდა იყოს გაშიფრული დანახარჯები მასალების შეძენაზე, სპეცტენიკით მომსახურებაზე და ხელფასებზე.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გამოყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს.

მიმწოდებელი ვალდებულია პროექტირებისას საკითხები წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველს.

მმწიდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა უზრუნველყოს 2012 წლის 30 იანვრის ჩათვლით;

მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს მზა პროექტი 4 (ოთხი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიის სახით DVD დისკზე.

პროექტი

ხელშეკრულება № _____
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული კონკურსის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ. ბათუმი 2012 წლის ____ იანვარი

ერთი მხრივ, შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ (მისამართი: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. 21) წარმოდგენილი დირექტორის ნუგზარ პატარიძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”) და მეორე მხრივ _____ (მისამართი: _____) მისი _____ _____ სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით, შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით, (CPV 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება) ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირობები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები
3.1. მომწოდებელი ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2012 წლის 30 იანვრის ჩათვლით;
3.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 მარტის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება
4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: _____ ლარს.
4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი
5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. 21, შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ადმინისტრაცია;
5.2. მომსახურების გაწევა ხდება ერთიანად ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით.

6. მხარეთა ვალდებულებები
6.1.მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული უნაკლო მომსახურება.
6.2. თუკი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით
6.4. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად გაწევის შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი
7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგნაირად: უნაღდო ანგარიშსწორებით, მომწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება
8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ი შემსყიდველის მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის საგანის მიღება-ჩაბარების წესი
9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია და შემსყიდველის მხრიდან არ არის გამოვლენილი ხარვეზი მომსახურებაში.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა
11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.
11.2. მომწოდებელს 3.1. პუნქტის მოთხოვნების დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველდღიურად;
11.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
11.4. შემსყიდველს 7.2. პუნქტის მოთხოვნების დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველდღიურად;
11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი
12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, სამხედრო მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო

ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი
13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
13.5. ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავების გადაჭრის წესი
ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

16. დასკვნითი დებულებები
ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – მომწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. 21 საიდ. კოდი 245 626 835 ს.ს „თიბისი“ ბანკის ბათუმის ფილიალი საბანკო კოდი TBCBGE 22 ა/ა GE07 TB 77 3793 6020 1000 01	
დირექტორი	**ნოგზარ პატარიძე**